დანართი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების,

ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ანგარიში,

2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სამსახურში შემოვიდა 1284-ზე მეტი წერილი, აქედან 967 ეკუთვნოდა ეკონომიკის სფეროს, 317 სოფლის მეურნეობის და ბუნებრივი რესურსების საკითხს. ქონების განკარგვის კომისიის მიერ განხილულ იქნა 213 საკითხი.

2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მუნიციპალიტეტმა საკუთრებაში მიიღო 10 უძრავი ქონება, რომელთა სავარაუდო ღირებულება შეადგენს 525000 ლარზე მეტს. ასევე დაწყებულია რამოდენიმე ქონებაზე გადმოცემის პროცედურები.

2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სამსახურის მიერ 12 ლოტზე გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი, აქედან 9 არ შედგა. 2023 წელს აუქციონის შედეგად გაყიდული ქონებიდან მუნიციპალიტეტმა მიიღო 25350 ლარი.

ბუნებრივი რესურსების კარიერებთან დაკავშირებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესუსების სამინისტროს თხოვნის საფუძველზე გაიცა 21 რეკომენდაცია. ჯამურად თანხმობა გაცემულია 3 100 000 კუბამეტრ ქვიშა-ხრეშზე რომლის სალიცენზიო მოსაკრებლიდან შემოსავალი შეადგენს 620 000 ლარს სალიცენზიო პერიოდის განმავლობაში.

63 ერთეულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს შეეცვალა კატეგორია და გადაყვანილ იქნა არასასოფლოში,რითაც განმცხადებლებს მიეცათ შესაძლებლობა განახორციელონ სხვადასხვა კომერციული პროექტები. 1023ა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რომლის საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 583 000 ლარი.